

მელექედური ჩვენი გადასახედიან

მელექედური ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელია, რომელიც ყველა დროში გამოირჩეოდა როგორც ბუნებრივი პირობებით, დაბლობ-ზეგანზე განთავსებული იდეალური ლანდშაფტით, ისე ერთსულოვანი, მუყაითი, გამრეცი, საკუთარ სოფელზე მზუნველი მოსახლეობით, ინტელექტუალური საზოგადოებით. მელექედურის შექმნაში უფლის ხელი ურევიაო, ამბობენ ადგილობრივები და ამ გამოხატვაში ნამდვილად არის სიმართლის მარცვალი, მართლაც იშვიათი სილამაზის სოფელია. სამწუხაროდ, არეულობის წლებში განვითარებულმა ქაოსურმა მოვლენებმა და გარდაცვალებების სიმძიმემ გარკვეული დანი დაასვა ამ მშვენიერ სოფელსაც, რომელიც თანდათანობით სასურველ ფორმაში შედის და მალე საცქერლადაც საამო იქნება და სოციალურ-ეკონომიკურადაც წელში გამართულად.

განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების გასაცნობად მელექედურს გასული კვირის ხუთშაბათს ვეწვიეთ. როგორც მასპინძელი – მელექედურში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი **კანა მესხია**, ისე „ალიონის“ წარმომადგენლები, ობიექტური მიზეზების გამო, დროში შეზღუდვებით ვიყავით და, აქედან გამომდინარე, რეპორტაჟი, რომელსაც თქვენ ახლა კითხულობთ, როგორც ვიზუალურად, ისე ტექსტობრივად ვერ იქნება ყოვლისმომცველი. თუმცა, მელექედური ყოველთვის იქნება „ალიონის“ ყურადღების ცენტრში.

სოფლის ცენტრალური გზიდან დავიწყებთ. კარგად გეხსომებათ, რა ძალისხმევით ფასად გაკეთდა აქ თანამედროვე სოფლისთვის შესაფერი, განიერი, მოასფალტებული გზა, რომლის გარკვეული მონაკვეთები უკვე ამორტიზებულია, განა იმიტომ, რომ

უხარისხოდ გაკეთდა, არამედ იმიტომ, რომ კარიერების მიმდევრებმა, დასაშვებზე მეტი ტვირთის გადამზიდმა მანქანებმა დამანგრეველი კვალი დაამჩნიეს სოფლის მთავარ არტერიად წოდებულ ამ ინფრასტრუქტურულ ობიექტს. „თუ ეს პრობლემა ხელისუფლებამ დროზე არ გადაგვიწყვეტა, ჩათვალეთ, რომ მელექედურს ცენტრალური გზა აღარ ექნება, იმატებს ავტოსაგზაო შემთხვევებს, რასაც შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს“, – გვითხრა კანა მესხიამ.

რაც შეეხება შიდა გზებს, თუ მე-4 და მე-5 ბრიგადებში არსებული სიტუაციით ვიმსჯელებთ, ნორმალური მდგომარეობაა, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის გაუმჯობესებაზე არ უნდა იზრუნონ. სოფელში არის როგორც რამდენიმე წლის წინათ, ისე ახალგაკეთებული ბეტონის გზები. სწორედ მე-5 ბრიგადაში გაკეთდა შარშან 150 გრძივი



მეტრი ბეტონის გზა.

ხორციელდება კიდევ ერთი მეტად საჭირო საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი გალმა მელექედურში, საიდანაც სოფელი ქალაქ ოზურგეთს უკავშირდება იაკობ შემოქმედელის ქუჩით, ამ მონაკვეთზე

700 გრძივი მეტრის ასფალტირებული გზა გაკეთდება თავისი წყალამრღობით. ამავე პროექტში დამატებით გათვალისწინებულია წითელ უბანში 400 გრძივი მეტრი სიგრძის ასფალტიანი გზის კეთილმოწყობა, პროექტის

ჯამური ღირებულება 486 ათას ლარს შეადგენს. სამუშაოებს ახორციელებს შპს „პალადა“.

სოფელი არ ივიწყებს საშობლოსათვის თავდადებულ





გ უ რ ი ა

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 15 (10385) 31 მაისი, 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამოდის
1931 წლის 5 იანვრიდან

საკრებულოს სხდომაზე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც **დავით დარჩია** უძღვევდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 7 საკითხი განიხილეს.

საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021-2022 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწოდების თაობაზე. პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შეკვეთილი-ურეკის განათების მოქმედი ქსელის რეაბილიტაციას ეხება.

საკრებულომ მიიღო განკარგულება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ-სასემოწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. კერძოდ, სოფელ შრომაში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე, როგორც

სხდომაზე აღინიშნა, შრომის ადმინისტრაციული ერთეულში, სოფელ ეკალიდში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით აშენდა ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა. სწორედ აღინიშნულ მიწის ნაკვეთზე მიიღო გადაწყვეტილება საკრებულომ. სხდომაზე, კიდევ ერთხელ აღინიშნა პროექტის მიზნობრიობა, ბავშვები სწავლა-განათლებას სრულიად ახალ გარემოში მიიღებენ.

კომპანია „გურია ექსპრეს“ თურქეთის კონსული ეწვია. საწარმოს ადვოკატ **აკაკი თიბის** განმარტებით, კონსული ოზურგეთში ვიზიტისას გასარკვევად იყო ჩამოსული. გაფიცულები კონსულთან შეხვედრას მოითხოვდნენ. პარალელურად ამის, ისინი საწარმოს შესავლელის პიკეტირებას ახდენდნენ, საშუალებას არ აძლევდნენ კომპანიის პრეზიდენტს დატვირთულ ტრაილერს, დაუტოვებინა საწარმოს ტერიტორია. ადვოკატ მობოლიზებული იყო პოლიციის რაზმები.

გაფიცული მუშები აცხადებდნენ, რომ ისინი იმ პირობით გატ-

„გურია ექსპრესის“ გაფიცული მუშები თავიანთ მოთხოვნებს არ ცვლიან

ალიონი. 4 კვირა შესრულდა, ქ. ოზურგეთში, ფეხვილის საწარმო „გურია ექსპრესის“ („გულისტანი“) თანამშრომლების გაფიცვის დაწყებიდან. გაფიცული მუშები ცუდ საბუთა პირობებს, დაბალ ანაზღაურებას და ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო მოპყრობას აპროტესტებდნენ.

გაფიცულები მედიასთან საუბარში, სხვა პრობლემებთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობასაც უჩიოდნენ.

გურიის გუბერნატორი **გიორგი სასხია** გაფიცული მუშების ერთ ნაწილს შეხვდა. შეხვედრის მონაწილეობა ინფორმაციით, ეს შეხვედრა მუშების სასარგებლოდ არ დასრულდა.

კომპანია „გურია ექსპრეს“ თურქეთის კონსული ეწვია. საწარმოს ადვოკატ **აკაკი თიბის** განმარტებით, კონსული ოზურგეთში ვიზიტისას გასარკვევად იყო ჩამოსული. გაფიცულები კონსულთან შეხვედრას მოითხოვდნენ. პარალელურად ამის, ისინი საწარმოს შესავლელის პიკეტირებას ახდენდნენ, საშუალებას არ აძლევდნენ კომპანიის პრეზიდენტს დატვირთულ ტრაილერს, დაუტოვებინა საწარმოს ტერიტორია. ადვოკატ მობოლიზებული იყო პოლიციის რაზმები.

გაფიცული მუშები აცხადებდნენ, რომ ისინი იმ პირობით გატ-



არებდნენ კონსულის ავტომატურად, რომელიც კომპანიის ეზოს შეავლელთან მოვიდა, თუკი მას ტრაილერი არ გაჰყვებოდა, თუკი კონსულის მანქანას ტრაილერი გამოვლევდნენ. ავტომატურად, რომელშიც თურქეთის კონსული ივდავრთ-ურთ აქციის მონაწილეს შეხვედრა გაუძლიერდა, რასაც გაფიცული მუშების რეაქცია მოჰყვა.

კონსულის მანქანამ ტერიტორია დატოვა, ხოლო ტრაილერმა კომპანიის ჭიშკარი ვერ გადმოკვეთა.

თურქეთის კონსულმა ტერიტორია ისე დატოვა, არც გაფიცულ მუშებს შეხვედრა და არც შურნაღისტებთან გაუკეთებია კომენტარი.

გაფიცულ მუშებთან ბოლო დღეებში გაკრთიანებული პროცესების წარმომადგენელი გამოჩნდა და მისი განცხადებით გაფიცულ მუშებსა და ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკებებში გურიის გუბერნატორი **გიორგი სასხია** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე **შარაშენიძე** ჩაერთვებიან.

ამ მოლაპარაკებებს სპექტიკურად უყურებენ გაფიცული მუშები და ამბობენ, რომ „გურია ექსპრესის“ ადმინისტრაციამ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს კომპანიაში თანამშრომლების შემცირებას და გაფიცულ მუშათა უმრავლესობა უმუშევარი დარჩება. მათი თქმით, ისინი, სავარაუდოდ, „მეამბოხე“ მუშებს

დაითხოვენ.

26 მაისს, „გურია ექსპრესის“ გაფიცული მუშების ოჯახის წევრებმა და მხარდამჭერებმა აქცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ გამართეს.

გაზეთ „ალიონის“ კითხვაზე, თუ რა პოზიცია უკავია ადმინისტრაციას, სამხარეო ადმინისტრაციას, სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსმა **სოფო კაშიამ** უპასუხა, რომ გურიის სამხარეო ადმინისტრაციას კომპანია „გურია ექსპრესის“ მიმდინარე პროცესებზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს და ამ ეტაპზე მედიასთან სხვა კომენტარს ვერ გააკეთებს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
- ერთი თვით - 2,40 ლარი,
 - სამი თვით - 7,20 ლარი,
 - 6 თვით -14,40 ლარი,
 - ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადას გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
 «ალიონით»

ოზურგეთში მობილური ახალ-გაზრდული მუშაკები გაჩნდებიან



ალიონი. გურიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მობილური ახალ-გაზრდული მუშაკები გაჩნდებიან. ეს ახალგაზრდული სფეროს ეკონოსისტემის მშენებლობასა და მუნიციპალიტეტის დონეზე, ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენას შეუწყობს ხელს. აღნიშნულს „ახალგაზრდობის სააგენტო“, „გად-ავარჩინოთ ბავშვები“, „საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია“ ევროკავშირის პროგრამის „უნარები დასაქმებისთვის“ (Skills4Jobs) ფარგლებში ახორციელებენ.

პროექტში ჩართული უწყებებისა და შერჩეული მონაწილეების გაცნობისა და შემდგომი თანამშრომლობის გზების დასახვის მიზნით, შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **გიორგი სახოკია**, მოადგილესთან **ქეთევან მოისწრაფეშვილი** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო. პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდობის სააგენტომ საქართველოს 4 სამიზნე რეგიონის

10 მუნიციპალიტეტიდან 30 ადამიანი ღია კონკურსის გზით შეარჩია, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაციის მიერ მომზადებულ „მობილური ახალგაზრდული მუშაკის ტრენინგ-პროგრამას“ გაივლიან, რის შემდეგაც სააგენტო 20 მობილურ ახალგაზრდულ მუშაკს დაასაქმებს ადგილობრივ დონეზე.

პროექტი, ასევე, მოიცავს სატრენინგო მოდულებისა და ინოვაციური ლაბორატორიების შექმნას, გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფას, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებს შორის ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას და დანერგვას, არსებული ციფრული ახალგაზრდული პლატფორმებისა და ინსტრუმენტების განვითარებას - **Youth-platform.gov.ge** განახლებას, მასში სხვა ვებგვერდებისა და ონლაინ საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირებას, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობისთვის ყოველმხრივი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას.

სოციალურად დაუცველს დაეხმარებიან

ალიონი. ოზურგეთის მერმა, კონსტანტინე შარაშენიძემ სოფელ ასკანაში მცხოვრები გერასიძე მელუას სახლი მონახულა. მელუას საცხოვრებელი სახლი ამორტიზებულია, რის გამოც, სახლში ცხოვრება სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია. კონსტანტინე შარაშენიძემ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახს, სახლის აშენებასა და სამშენებლო მასალებით დახმარებას დაჰპირდა.

 სოფელ ზვარბეთში რამდენიმე დღის წინ გაჩენილი ხანძრის შედეგად გურამი ჭურჭვეიძის საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. ოზურგეთის მერი, კონსტანტინე შარაშენიძე დაზარალებულ ოჯახთან ადგილზე იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. მერის განცხადებით მუნიციპალიტეტის მერია ოჯახს დაეხმარება და სამშენებლო მასალებს გადასცემს.



ტურნირის გამარჯვებული თენგიზ თოიძეა



საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა საჭადრაკო ტურნირი ჭადრაკში, რომელიც 26 მაისს, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში, საზეიმო ვითარებაში დაიხურა. როგორც გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზურაბ ანდულაძემ** აღნიშნა, ეს ტურნირი თითქმის ორი ათეული წელია უწყვეტად ტარდება და მისი ძირითადი მიზანი, სპორტულ ინტერესთან ერთად, ამ მნიშვნელოვანი ეროვნული დღესასწაულის მიმართ პატივისცემის გამოხატვაა. თავიდან დაგეგმილი გვექონდა მასში მხოლოდ უფროსი თაობის, მაღალ რეიტინგის

და ტიტულოვან მოჭადრაკეებს მიეღობოთ მონაწილეობა, ხოლო სასკოლო ასაკის მოჭადრაკეებს, ერთი კვირის შემდეგ, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებულ ტურნირში ეასპარეხათ. თუმცა საბოლოოდ გადაწყვეტიტო, ტურნირში ჩაგვეერთო იმედის მოცემი ის მოსწავლეებიც, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან მომზადების დონით და სხვადასხვა დონის დივიზიონებში წარმატებებსაც აღწევენ. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ აშკარად გამართლა და ტურნირი, რომელშიც 14 მონაწილე წრიული სისტემით ასპარეხობდა, უფრო საინტერესო და დაძაბული გახდა, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოსწავლეთა კარგმა თამაშმა, რომელსაც მრავალი ჭადრაკის მოყვარული და გულშემოტკივარი ადევნებდა თვალს, მოლოდინს გადააჭარბა, ფინიშის სწორზე 11 წლის **თენგიზ თოიძე** და 15 წლის **ლუკა ღლონტი** თითქმის უდანაკარგოდ მივიდნენ (მათ ერთმანეთთან ყაიმით ითამაშეს) და საბოლოოდ ასეთივე თანმიმდევრობით შევიდნენ საპრიზო სამეულში. მესამე ადგილზე, გურიის ორგზის ჩემპიონი **გიორგი გოგოლაური** გავიდა. პირველი ადგილისათვის

კარგად დაიწყო ბრძოლა მუნიციპალიტეტის მრავალგზის ჩემპიონმა, **გივი სიამაშვილმა**, მაგრამ მთავარ მეტოქესთან ქულის დაკარგვის შემდეგ, კიდევ რამდენიმე არასასურველი ყაიმი ითამაშა და ამ ბრძოლას გამოეთიშა. მიუხედავად პატარა ასაკისა, კარგი თამაში და შედეგები აჩვენებს **ლუკა მახარაძემ**, **ნათია ვასაძემ** ანდრია **კიკაბიძემ** და **ნიკა ბარამიძემ**. ის, რომ საუკეთესო ხუთეულში სამი მოსწავლე შევიდა თავისთავად მრავლის მეტყველია. მისასალმებელია, რომ ამ ძლიერი წარმომადგენლობის ტურნირში ბავშვების წარმატება აღიარეს და დადებითად შეაფასეს მათმა უშუალო მეტოქეებმა, უფროსი თაობის ტიტულოვანმა მოჭადრაკეებმა **გოგოლაურმა**, **ა. გოგუამ**, **ეურუშაძემ**, **ბ. ცეცხლაძემ**, **ვ. ტაკიძემ**, **რ. მყავანაძემ**, **ჯ. კეჭავაძემ** და სხვებმა.

წარმატებულ მოჭადრაკეებს, შესაბამის დიპლომებთან ერთად, ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ტურნირის საზეიმო დახურვაზე **ზ. ანდულაძემ** განსაკუთრებით აღინიშნა მწვრთნელების, ნინო წიტიანიშვილისა და ელგუჯა ურუშაძის ნაყოფიერი მუშაობა.

გოიისეთის გზის სამუშაოები მიმდინარეობს



ოზურგეთი-შემოქმედი-ბუჟუჟესი-გომისმთის საავტომობილო გზის მე-13, 32,6 კმ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზა სრულად რეაბილიტირდება, დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, წყალგამტარი და წყალამრთი ნაგებობები. ამჟამად, სასმელი წყლის მილენის, რკინა ბეტონის კედლების და მილენის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ასევე, მიწის ვაკისის დამუშავება და შესაბამისი ნიშნებით აღჭურვა.

მელექედური ჩვენი გადასახედიან



თავის შეილება. მელექედურში მოწყობილი ამ ხალხის სახელობის სკვერი და მემორიალი ნიშნავს იმისა თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ გმირთა უკვდავება, როგორ უნდა მივაგოთ პატივი მათ მარადიულ ხსოვნას.

მელექედური იყო და რჩება იმ სოფლად, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესს, მათ სპორტულ განვითარებას. აქაურებს უსაზღვროდ უყვართ ფეხბურთი. აქ არსებულ ცენ-

ტრალურ სტადიონზე რესპუბლიკური მნიშვნელობის მატჩებიც კი ჩატარებულა. სოფელს, მე-5 ბრივადში, შარშან შეემატა კიდევ ერთი კეთილმოწყობილი საფეხბურთო სტადიონი, რომლის მისასვლელს ამშვენებს კოპწია ხიდი. ვისაც ფეხბურთთან პრაქტიკული შეხება ჰქონია, ის დაგვეთანხმება, რომ სიამოვნებით ითამაშებდა ასეთ სტადიონზე. სოფელში არის მესამე სასპორტო ბაზაც, რომელზეც მინისაფეხბურთო ტურნირები ტარდება.

შარშან ზამთარში დამთავრდა გაზიფიცირების სამუშაოები და დღეს მელექედურში ყველა ოჯახი სარგებლობს ბუნებრივი აირის სიკეთით.

სოფლის ცენტრში ფუნქციონირებს ახალი ეკლესია და აქაური მრევლი დიდად ემაღლიერება თავის მოძღვარს, მამა თომას.

500-კომლიან სოფელში, **კახა მესხიას** თქმით, 20-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახია. წლებულს რამდენიმე ოჯახს შეუქრდა სოციალური დახმარება. „მართალი ვითხრათ, მიკვირს, ისეთ ოჯახებს მოეხსნა სოციალური დახმარება“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში **კახა მესხიამ**.

სოფელში აქვთ სასმელი წყლის პრობლემა, რის თაობაზეც ინფორმირებულია ადგილობრივი ხელისუფლება. „სოფლისთვის №1 პრობლემა იყო და რჩება მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი კონსტანტინე შარაშენიძე შეგვიპირდა არტეზიული ჭების მოწყობას“, — იმედიანად გვითხრა **კახა მესხიამ**.

როგორც გურიის უმეტეს სოფლებში, მელექედურშიც, წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა თხილია. ჩაი თითქმის აღარსად ჩანს, ციტრუსოვანთა პლანტაციებს კი ფლობს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

ერთწლიანი მარცვლოვანი კულტ-

ურებისათვის სოფელს მოლიანად 40 ჰექტარამდე სავარგული აქვს. კახა მესხიას თქმით, ამ სავარგულების ნახევარიც არ ითესება ყოველწლიურად.

მელექედური ახლო წარსულში გამოირჩეოდა რენტაბელური მეცხოველეობით. შესაბამისი ბაზა ჰქონდათ, როგორც ბარში, ასევე მთაში. დღეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა სოფელში საგრძობლად შემცირებულია, არადა, საძოვრები და ბაზები ჰქონდათ როგორც ადგილზე, ისე მთაში. როგორც **კახა მესხიამ** გვითხრა, მელექედურელი მესხები ოდითგანვე მისდევდნენ მომთაბარე

მესაქონლეობას. დღეს თავისი ძმა კუკური განაგრძობს ბაბუას **რუბენ მესხიას** ტრადიციას და არც თუ ურიგოდ.

მელექედურის თავკაცებს, როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელში **კახა მესხიას**, ისე სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს **ლევან კილაძეს** კარგად ესმით, რომ რაც გაკეთდა, იმაზე გაცილებით მეტია გასაკეთებელი. მოსახლეობასთან ერთად, მსჯელობენ პრიორიტეტებზე, სასავენ ახლო და შორეულ პერსპექტივებს. ასეც უნდა იყოს, მელექედური ხომ პერსპექტიული სოფელია.



რა უნდა ვიცოდეთ ჰესებზე საქართველოში



პირობელებს და ჰესები სუფთა ენერჯის სახელს წყაროდ მოიაზრება, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ კაშხლების მშენებლობა ხშირად გარემოს მნიშვნელოვნად ცვლის და კაშხლოვან სისტემებში სერიოზული ინვესტიცია იდება, მსგავსი პროექტები ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს. ეს ის საჭირო სიფრთხილეა, რომელიც საქართველოში ჰესების მშენებლობისას, ხშირად, პრაქტიკულად უგულებელყოფილია.

ამის ნათელი ილუსტრაცია დარიალის ჰესია, რომლის მშენებლობაც, ქართული გეოლოგიის, ლევან ტიელიძის თქმით, "არაფრით არ შეიძლება". ეს ჰესი წყლის რესურსს ძირითადად დეველოპერის მხრიდან იღებს, რომელსაც "ყინულოვანი ზეგვები" ანასიათებს. ეს რისკი იყო, რომელიც როგორც ჩანს, ჰესის მშენებლობისას გათვალისწინებული არ იყო, რადგან 2014 წელს, დეველოპერის სტიქიის გამო, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული სამუშაო გზა ჩაიხურა.

ჭალათში წყალმომცემი ორი მდინარის შესართავიანა განთავსებული, მესტია-ჭალა ჰესიც ორი მდინარის შესართავშია განლაგებული. "წყალუხვობა" ჰესისთვის, იდეაში, კარგია, თუმცა რომ

შენელოთ ამ ჰესების პროექტებს, აღმოჩნდება, რომ უმნიშვნელოვანესი გარემოები გათვალისწინებული არ არის, როგორცაა, მაგალითად, ვიწროსი ლილა.

გლობალური კლიმატის ცვლილება მართლაც გლობალურია და ის საქართველოზეც აისახება. ტემპერატურის მატებასთან ერთად, მყინვარები დნება. ეს გარემოება გათვალისწინებული არასდროს არის. მყინვარულ აუზში მოთავსებული ჰესის დანერგვა ან გადატვირთვა, შეიძლება უზარმაზარი მასშტაბის კატასტროფით დასრულდეს.

საქართველოში ჰესების მშენებლობაზე და გათვალისწინებულ რისკებზე, დედაქალაქის მეცნიერებათა შემსწავლელი და სეისმოლოგიის ეროვნული ცენტრის მკვლევარს, გეოგრაფიის დოკტორანტის უფროსს, ლამა სუნიშვილს ვესაუბრე. თუ კი რამე ავტორიტეტული კვლევა და სადამკვირვებლო ორგანო არსებობს საქართველოში, რომელიც ამ საკითხებზე კომპეტენტურა, სწორედ ეს ცენტრია. ნამახვანჰესის საკითხს სანამ მივუბრუნდებით, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ პოტენციური რისკი, რომელიც ჰესების უყურადღებო მშენებლობას უკავშირდება.

"ვერ გეტყვით, რომ ასოლოგურად ყველა ჰესის დოკუმენტაცია მაქვს გავლილი, მაგრამ იმ დოკუმენტაციაში, რაც

მინასავს, მე მომავლის, ხარისხიანი პროექტები არ შემიძლება", — ამბობს სუნიშვილი.

"დეველოპერ-ამალის ხეობა არის გეოლოგიური ზონა და 19-ე საუკუნიდან უკვე ცნობილია, რომ საუკუნეში რამდენჯერმე ხდება ის, რაც მოხდა 2014 წელს დარიალის ხეობაში. აქ იყო რუსეთის საქართველოში შემოსასვლელი სამხედრო გზა და ამიტომ საბჭოთა კავშირში აკეთებდნენ აღწერას ყოველი ასეთი კატასტროფის. ამიტომ წლების, თვეების და დღეების სიზუსტით ვიცით, როდის ჩამოდიოდა მსგავსი ღვარცოფი დეველოპერის ხეობაში. რაც ვიცოდით უკვე საკმარისი იყო იმისთვის, რომ იქ ჰესი არ აშენებულიყო. იქ ჰესის აშენება არის წარმოუდგენელი ამბავი... ყველა ვიცით, რომ თითქმის ჩაქუჩი რომ ჩავივრტყათ, გვეტყინება. ასეთი ცხელი ამბავი იყო, რომ იქ ჰესის აშენება არ შეიძლება", — ამბობს სუნიშვილი.

"2014 წლის ღვარცოფის შემდეგ, ჩვენმა ჯგუფმა მყინვარწყვილის გარშემო დააყენა სეისმური სადგურები, რომელთაგან ზოგიერთი დღემდე ჩართულია და აღმოჩნდა, რომ მყინვარწყვილი არის საკმაოდ აქტიური ვულკანი. აქტიური იმ გაგებით არაა, რომ იქიდან მგამა ამოდის და ამოფრქვევები ხდება. უბრალოდ მაგმის კერით გამოწვეული ვიბრაციები ხდება, დღემდე შეიძლება 200-300 მოხდეს. ეს ვიბრაციები, დამატებით კლიმატის ცვლილება, ჰაერის დათბობა იწვევენ იმ ღვარცოფებს, რაც იგებს დარიალის ჰესში", — ამბობს ლამა სუნიშვილი.

სუნიშვილის თქმით, დედაქალაქის მეცნიერებათა შემსწავლელი ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრი საქართველოში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც სეისმური აქტივობის მონიტორინგს აკეთებს, ანუ ეს ცენტრი აგენერირებს სეისმურ მონაცემებს. მაშინ, როცა საქართველოში კომპანია აკეთებს სეისმურ კვლევას და ამ ცენტრის მობილიზებული ინფორმაციის გამოყენება არ ხდება, "ეს უკვე კითხვის

ნიშნებს აჩვენებს".

ნამახვანში კასკადის მშენებარე კომპანია ამტკიცებს, რომ სეისმური კვლევები ჩატარა, თუმცა ენკა რინოუბლში სერიოზულ სამეცნიერო, იგივე სეისმურ კვლევებს არ ასაჯაროებს და არსად არაა მინიშნება, რომ სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციას ვერდნობა.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, საქართველოში ასეთი სურათია: მუდამა ჰესები, ბევრ მათგანს რიგი მნიშვნელოვანი გარემოები გათვალისწინებული საერთოდ არ აქვს, ან მშენებელი კომპანიები ამტკიცებენ, რომ გათვალისწინებული აქვთ, მაგრამ ამის საბუთს საჯაროდ არ წარმოადგენენ. ნებისმიერი ჰესი, თუნდაც პატარა, ძალიან სერიოზული საინჟინერო ნაგებობაა, რომელიც შესაძლოა პოტენციური რისკებისა იყოს ასოცირებული.

რა მოხდება თუ კაშხალი დაინგრება? რა შემთხვევითი მუქნიშნები არსებობს ამის პრევენციისთვის? რა გავლენა ექნება მსგავსი კატასტროფის რეგონზე? და ა.შ. ეს კითხვები მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგივე ნამახვანის კასკადს რამე რომ შეეხებოდა, ქუთაისი და დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის, შესაძლოა, ეგზისტენციური საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ეს რისკი შეიძლება მაღალი არ იყოს, თუმცა მცირე მანის არსებობის შემთხვევაშიც კი, რისკი გასათვალისწინებელია და სერიოზულ მოკვლევას საჭიროებს

რატომ იბრძვის მოსახლეობა ნამახვანჰესის წინააღმდეგ

ენერგეტიკის საკითხები ქვეყანაში ხშირად არის გადაჯაჭვული პოლიტიკასთან. ნამახვანჰესის მშენებლობის გარშემო შექმნილი აურზაური ამის ნათელი ილუსტრაციაა. ერთი მხრივ კასკადის მშენებლობით, რომელიც ნამახვანში იგეგმება, ენერგოდამოუკიდებლობის დაწინაურებას გვიპირდება, მეორე მხრივ ამ კასკადის მშენებლობა საოცრად არა-

პოპულარულია, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე საზოგადოებაში და საინჟინერო და სამეცნიერო წრეებში.

ნამახვანჰესის წინააღმდეგ ბრძოლა ორ ფრონტზე მიმდინარეობს. კითხვის ნიშნის ქვეშაა როგორც მისი "პოლიტიკური" საჭიროება, ისე მისი მშენებლობის მიღმა არსებული საინჟინერო გადაწყვეტილებების ვალიდურობა. მოუხედავად იმისა, რომ მშენებელი კომპანია, რომელიც კასკადის აშენებას გეგმავს და მთავრობა, რომელიც მისი აშენების ნებართვას გასცემს, გვარწმუნებენ, რომ კასკადი იქნება უსაფრთხო და ადგილობრივი მოსახლეობა არ დაზარალდება, ამის საბუთს არცერთი არ წარმოადგენს.

პრობლემა ის კი არაა, რომ ვიცით რა გავლენა ექნება ნამახვანჰესის ადგილობრივ გარემოზე, ხალხზე და მთლიანად საქართველოზე, არამედ ის, რომ პროექტის შესახებ არც არაფერი არ ვიცით და მშენებლობაში მონაწილე არცერთი მხარე არ იწუხებს თავს, რომ წარმოადგინოს დოკუმენტაცია იმის შესახებ, თუ რა გვერდითი ეფექტები ექნება კასკადის მშენებლობას ან რატომ ამბობენ ასე "თავდაჯერებით", რომ მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი აზრსმოკლებულია.

ამ მომენტში, კასკადის მშენებლობა ისე, როგორც დავგვამოლია, უბრალოდ მენებლობაა. შექმნილი ვითარების სხვათადად აღქმა თავის მოტყუებაა. მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი ასოლოგურად გასაგება და ვფიქრობ, პროტესტისადმი როგორც მინიმუმ სოლიდარობის გამოცხადება მოქალაქეობრივი მოვალეობაა. მით უმეტეს იმიტომ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ნამახვანში 100 დღეზე მეტია აროტესტებს და მთელი ეს დრო პოლიცია მიზნად ისახავს, რომ საღისის ნება უგულებელყოს და ძალის გამოყენებით, ხელი შეუწყოს კორპორატიულ ოფისებში მიმალული უფროსების ვენებებს.

ზღვარი ვიქტიმის გაფრთხილებული ღვაწლის საპასუხოდ შალვა (უშქრი) გაბრიჩიძის ხსოვნას



ყოველ 27 მაისს შენს დაბადების დღეს კი არ აღვნიშნავდით, ან ვზეიმობდით, არამედ ვლესასწაულობდით, გამორჩეულად ვლესასწაულობდით, რადგან შენისთანა კაცი იმსახურებდა ასეთ დღესასწაულს.

წლებადღე 27 მაისს არ გვიღესა-სწაულია, რადგან... რადგან უშენოდ რა გვეღესაწაულებოდა?! აღვნიშნეთ მხოლოდ, ცრემლით, ყვაილებით, მოფერებით, მოსაგონარით...

რა უნდა დააკლოს დრომ შენს ხსოვნას? ვერც ვერაფერი!!! შენ ხომ იმ კაცებს არ ჰგავდი, ერთ დროში რომ ცხოვრობენ, ერთ დროში რომ ამთავრებენ ყველაფერს. შენ უბრალოდ გარდაიცვალე, სიცოცხლე შეწყვიტე, თორემ ცხოვრობ და იცხოვრებ, ჩვენი ღმერთის მოთავე და ჭირის თანაზიარი იქნები, კაცი, რომელსაც ყოველ წამს შეგეძლო ყოფილიყავი ოჯახის ბურჯი, მეზობლების იმედი, მეგობრების გვერდით მდგომი, უცნობთათვისაც სანდო პირი, საზოგადოებისთვის დადებითი მუხტის მიძეცი პიროვნება. შენ რასაც აკეთებდი, იმას შრომა არ ჰქვია, შენ იღვწოდი და ამ ღვწის შედეგად სახეზე იყო — ხალხის სიყვარული! დიას, სიყვარული, უსაშველო და უკიდევანო, რომელსაც უხვად გასცემდი, ყველას

უნაწილებდი. სიკეთეც სიყვარულივით მოჭარბებული გქონდა. არაფერი სჯობდა ეზოში შენი ღმერთის სახის გამოჩენას, უყურადღებოდ არავის ტოვებდი, დიდთან დიდი იყავი და პატარასთან პატარა. საღამოს პირზე, ეზოში, შენი თაოსნობით აგებულ ფანატურში გაშლილ სუფრას კი, აბა, რა შეგდებოდა.

რამდენი პრობლემა გადაგიჭრია, რამდენი ტკივილი აგიცილებია და რამდენი სიხარული მოგინიჭებია თითოეული ჩვენგანისთვის. უპირველესად, შენი ამაგი და დამსახურება ჩვენს ეზოში ბოლო დროს განხორციელებული პროექტი, რითაც საცხოვრებელი კორპუსი ფაქტობრივად გადარჩა.

არ დაგვიწყნია, რაც შენი ჭირის სუფრაზე ითქვა: ანასეულში ყოველწლიურად ჩატარდება და ტრადიციული გახდება შენი ხსოვნის ღვაწლი მინიფეხბურთში, შენი საყვარელი სპორტის სახეობაში, რომლის გარდამავალ თასზე ამოიტე-

ფერება ყოველი ჩვენგანისთვის საამაყო სახელი და გვარი „შალვა (უშქრი) გაბრიჩიძე“. არც ანასეულის სტადიონისთვის შენი სახელის მინიჭება უნდა გაგვიჭირდეს. ეს ზღვაში წვეთი იქნება ჩვენდამი შენ მიერ გაწეული ღვაწლის საპასუხოდ.

როგორ გიბრწყინავდა თვალები ერთადერთ ძმას შენი ერთადერთი დის, მისი ქმარ-შვილის დანახვაზე. როგორი რუდუნებით ზრუნავდი მეუღლეზე, შვილებზე, რძალზე, სძიეზე, როგორ აფანატებდი შვილიშვილებზე, ზოგადად ბავშვებზე. ეს ხალხი ხომ შენი საფიცარი იყო, შენ კიდევ — მათი საფიცარი.

გვინდა, დიდხანს, დიდხანს გვყავდეს შენი დაკარგვით უმძიმეს მწუხრს მიცემული, შენი ღრმად განსწავლული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული მშობლები.

გვიყვარხარ, ვამაყოფთ და ვიამაყებთ შენით!

შენი ოჯახი, მემობრები, მეზობლები.

ემ რა ჰქენი, სიკვდილო?!

უფალმაც რომ მიწყინოს, გესვრი მაინც ცივ კილოს: ეტალონი წავგართვი, ემ რა ჰქენი, სიკვდილო?!

შუბლზე ვიფენ ცივ ტილოს, ტკივილისგან მიჭირს როს, შვილი, თანაც ასეთი, ღეღამ როგორ იტვიროს?!

— იქაც უნდა ირბინოს?!
— იქაც უნდა იგმინოს?!
მამამ რა ჰქენას, შე უღმერთო, მამამ როგორ იგმინოს?!

წუთისოფელს, — იტკინოს, — გავაგონებ ცივ კილოს: ამ ცოდოსთვის შენ უფალმა ღეღამ უნდა გიტვიროს!..

თიმურ მარშანიშვილი
25.07.2020.

ალიონი 90

1937 წელი



არავითარი დანდობა საგზოობლოს მოღალატეებს

11 ივლისს, შემოქმედის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენს ხალხის უბოროტესი მტრების, ფაშისტთა დაქირავებული აგენტების ბ. მდივნის, მ. ტორიშვილის, მ. ოკუპავას, გ. ყურულივის, ს. ჩიხლაძის, გ. ელიავას და ნ. ქარცივაძის დახვრეტის შესახებ.

მიტინგზე გამოსულმა ყველა მოკამათემ ერთხმად მოიწონა საქ. უზენაესი სასამართლოს დადგენილება და მოითხოვდნენ ხალხის ყველა სხვა მტრების სასტიკად დასჯას.

№59, 14 ივლისი, 1937 წ.

საგზაო სემტის თაოსნობა

ნატანების სოფლსაბჭოსთან არსებულმა საგზაო სემტამ (თავრე-

ამხ. შ. ტაკიძე) სერიოზული მუშაობა ჩაატარა უგზობასთან ბრძოლის საქმეში.

თუ ორი, სამი წლის წინათ ნატანებ-შრომის გზაზე ურმის მიმოსვლაც სახიფათო იყო, ახლა ეს გზა 8 კილომეტრზე ძირითადად გაკეთებულია.

ბოლშევიკური სოფლის მქვეყნარე ცხოვრებამ გაზარდა მშრომელთა მოთხოვნილება გზის მიაღწერ. სოფელ დონაურში (მაგისტრალური გზიდან 3 კილომეტრის დაშორებით) დაიწყო ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა, რომლის ერთი კილომეტრი უკვე მოკენჭილია, ამ რამდენიმე დღის წინათ სოფელ დონაურის მცხოვრებს კოლმეურნე გიორგი გორგილაძეს ავტომანქანით ბინაზე მიუტანეს პიანინო.

მიმდინარე წელს საგზაო სემტის ხელმძღვანელობით დაიწყო ნატანებ-წვერმაღალას გზის მოასფალტება 6 კილომეტრზე. შეკეთდა ძველი გზები, დაკვრითი მუშაობა მიდის ნატანები-დონაურის გზაზე, რომელიც შემდგომში ნატანები დონაურით დაუკავშირებს შრომის კოლმეურნეობას და ამით 4 კილომეტრით შეკვეცავს ამჟამად არსებულ ნატანებ-შრომის გზას.

ნატანების კოლმეურნეობას გამოყოფილი ყავს საგზაო ბრიგადა 20 კაცისა და 20 უღელი გამწვევი ძალის შემადგენლობით, რომელიც ყოველდღიურად მუშაობს გზების რემონტზე და ახალი საუბნო გზების (ლეკურას, სანერგეს, სამსთოს და სხვ.) მშენებლობაზე...

ჭ. ხომერიკი
№61, 21 ივლისი, 1937 წ.

სასტიკად დანდაჯოს ხალხის მტრები

7 აგვისტოს თბილისის კომკავშირის ორგანიზაციამ განიხილა მანარაძის პარტაქტივის რეზოლუცია.

კომკავშირელები ზიზღით იხსენიებდნენ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ზროვას კ. გოგუაძეს, მ. შაფაქიძეს, მ. სიმულდს, გ. ერქომაიშვილს, ა. მალაზონიას, პ. თავბერიძეს და სხვებს, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ჩვენი აყვავებული ქვეყნისთვის და გადაექციათ იგი უცხოელი კაპიტალის საჯიჯგნათ.

კომკავშირელები მოითხოვენ ხალხის ამ საზიზღარი მოღალატეების სასტიკად დასჯას.

გ. გუჯაბიძე
№69, 15 აგვისტო, 1937 წ.

ფიზკულტურა და სპორტი

ფსახურთელთა გუნდი
საქ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი ატარებს 1937 წლის გათამაშებას საქართველოს პირველობაზე ფეხბურთის საკოლმეურნეო გუნდებს შორის.

გათამაშებაში მონაწილეობს საქართველოს 12 სარაიონო საკოლმეურნეო გუნდი, ჩვენი რაიონიდან კი შემოქმედის კოლმეურნეობის გუნდი ტ. ღუმბაძის ხელმძღვანელობით.

შემოქმედში ფეხბურთის გუნდი არსებობს 1926 წლიდან. 1930 წელს იგი საკოლმეურნეო ახალგაზრდობის გუნდად გადაკეთდა, გუნდს ცატარებული აქვს მთელი რიგი ოფიციალური თამაშები: ფოთის, ბათუმის, მანარაძის და სხვა გუნდებთან.

გუნდის 15წევრიდან 13 კაცი კოლმეურნეობის აქტიური წევრია.

გუნდმა საქართველოს გათამაშებაში ჩაატარა თამაშის 3 წრე და აიღო დასავლეთ საქართველოს პირველობა. ახლო მომავალში ის შეხვდება ქალაქ თფილისში აღმოსავლეთში გამარჯვებულ გუნდს.

ტ. ზე
№69, 15 აგვისტო, 1937 წ.

მრისხანა

ბაზრთხილვა აბროპირ-სონალს და პუნქტის გამგეობას
სადირექტივო ორგანოებს არა ერთხელ მიუთითებიათ ადგილებზე მომუსავე ამხანაგებისათვის, რომ დაუშვებელია ჩაის მოუკვლევი (ჩვილი) ფოთლის კრეფა. მათ არაერთხელ განემარტათ, რომ ჩაის შემოუსვლელი ფოთლის მოკრეფა ეს არის მიუტევებელი დანაშაული სახელმწიფოს წინაშე, რადგან შემოუსვლელი ფოთლის კრეფა იწვევს ჩაის მოსავლიანობის შემცირებას.

შემოუსვლელი ფოთლის კრეფა განსაკუთრებით შესამჩნევია შემოქმედის, გურიანთის (კახური) ვაკე-ჯვრის, ფამგალეთის, ნიაბაურის კოლმეურნეობებში. აქ მუშაობაში მიმართავენ ყოველად საზიანო „ჩქარებას“ და გარღვევიდან თავის დასაღწევად აგროწესების დაუცველად კრეფენ ჩაის ფოთლოს.

ამ მდგომარეობას კი, სამწუხაროდ, აგროპერსონალი გულდამწვდებით შეჰყურებს. მათ მიერ არ ეწევა სისტემატური კონტროლი და ზედამხედველობა ჩაის კრეფას. დაუყონებლივ ბოლო უნდა მოელოს ჩაის შემოუსვლელი ფოთლის კრეფას, ბოლო მოელოს მტაცებლურ, წამღვეჯურ დამოკიდებულებას ჩაის ბუჩქისადმი.

ის აგრონომი, ბრიგადირი, კოლმეურნე, რომელთაც სამუშაო უბანზეც ირღვევა ჩაის კრეფის აგრო-წესები, — კრეფენ შემოუსვლელ ფოთლოს, — დაისჯება სასტიკად, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის ხელის შემშლელი.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაფრთხილებთ აგროპერსონალს და პუნქტის გამგეობას, რომ ჩაის შემოუსვლელი ფოთლის კრეფას გადაჭრით მოელოს ბოლო, მტკიცედ დაიცვან კრეფის წესები.

№73, 27 აგვისტო, 1937 წ.

კინოაპარატს არ იყმენებენ

ანასეულის ჩაის სამეცნიერო ინსტიტუტში კინოსურათების ჩვენება მოუწესრიგებელია. 29 აგვისტოს გაშვებულ იქნა სურათი „უკანასკნელი მასკარადი“ გახმოვანების გარეშე. კინოლენტი ხშირად წყდებოდა, რის გამოც მაყურებელმა მთლიანი წარმოდგენა ვერ მიიღო სურათის შინაარსზე. მსგავსი მოვლენები იშვიათი არ არის, ხოლო ბილეთები კი ძვირად (1 მან. 50 კაპ.) იყიდება.

ინსტიტუტს შემენილი აქვს კინოს ხმოვანი აპარატი, მაგრამ იგი გამოუყენებელია და იჟანგება.

№82, 26სექტემბერი, 1937 წ.

მლიქვნელური სიმღერის წინააღმდეგ

საქ. კ.პ. (ბ) მანარაძის რაიონის ბიუროს დადგენილება


მიუხედავად არა ერთი კატეგორიული გაფრთხილებისა ამხ. ვ. სიმონიშვილმა მაინც აქა იქ მომღერალთა გუნდებში გაუშვა მისი გამოთქმული ლექსი, რომელიც რაიონის ხელმძღვანელების მიმართ მლიქვნერულ ხასიათს ატარებს და უკანასკნელი გაფრთხილების შემდეგ, მაინც ვერ შეძლო აღეკვეთა მთლიანად ხსენებული ლექსის მღერა ცალკე გუნდებში, რისთვისაც მიეცეს მას მითითება და სასტიკად იქნას გაფრთხილებული, რომ თუ ის მომავალში მსგავს რაიმეს განიმეორებს, დაისჯება სასტიკად.

აიკრძალოს რაიონის ყველა წარმოება დაწესებულებაში კონცერტებისა და წარმოდგენების მოწყობა რაიაღმასკომის ნებადაურთველად.

საქ. კ.პ. (ბ) რაიონის მდივანი
მ. კილაძე
№39, 18 მაისი, 1937 წ.

ლალო ხავთასი 90 წლისაა!

კაცი, რომელიც მოგზაობის კუთხისა და ქვეყნის სამსახურში მუდამ იყო და რჩება ერთგულ ჯარისკაცად



ლალო ხავთასი 90 წლისაა. მისი ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა იმდენად ბევრის მომცველია, რომ ერთ საგაზეთო წერილში მისი განთავსება ცოტა გავევიჭირდებოდა, ამიტომ ძირითად შტრიხებზე გავამახვილებთ ყურადღებას. 1931 წლის 15 ივნისს მახარაბეში. ზვანში, კოლმეურნეების ოჯახში დაბადებულმა ახალგაზრდამ 8 კლასის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს სწავლა განაგრძო მახარაბის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფელ ზვანის კოლმეურნეობაში აგროტექნიკოსად. 1952 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში და სწავლობდა პენზის ოლქის ქ. კამენკას სამხედრო საფრენოსნო სკოლაში, სადაც განხორციელებული ჰქონდა ასამდე საპარაშუტო ხტომა. დემობილიზაციის შემდეგ, ისევ კოლმეურნეობაში განაგრძო საქმიანობა, თუმცა მალე მუშაობას იწყებს მანქანატორთა სადგურში, სატრაქტორო ბრიგადის აღმრიცხველად, საიდანაც, 1959 წელს გადაჰყავთ საქსოფლტექნიკის მახარაბის გაერთიანების ტექნიკური მომსახურების სადგურში ინჟინერ-მექანიკოსად. 1963-66 წლებში კი, ამავე გაერთიანებაში, მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის უფროსი ინჟინერია. მან, 1965 წელს, სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ, დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით. 1971 წელს მას



მარცხნიდან: ზაურ მოზულაძე, რომან ჩილაჩავა, ლალო ხავთასი

რეკონსტრუქცია ჩაუტარდა წიკვილის საამქროს, რომელიც აღიჭურვა უცხოური, პროგრესული, ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობებით. იმ პერიოდისათვის ქარხანა თავისი საწარმოო მაჩვენებლებით და საგეგმოვალდებულებების შესრულებით, კავშირის მასშტაბით 200 საუკეთესო საწარმოს შორის დასახელდა, ხოლო საქართველოში მეორე იყო. ბატონი ლალოს ხელმძღვანელობით, საწარმოს წარმატებული საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რეგიონისა და უპირატესად მახარაბის რაიონის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში. ყოველწლიურად უმჯობესდებოდა მასში დასაქმებული 500-ზე მეტი თანამშრომლისა და მათი ოჯახების ყოფითი პირობები. ისინი სარგებლობდნენ უფასო მუშათა სასადილოთი, ემლოდათ ფქვილი, კომბინირებული საკვები და სხვადასხვა პროდუქტები ხდებოდა, იმ პერიოდისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომი საქონელის პერიოდული შემოტანა თანამშრომლებისთვის. ისინი ასევე სარგებლობდნენ ქარხანასთან არსებული შიგა მეურნეობისა და ღორის ფერმიდან მიღებული პროდუქციით. ქარხანას საწარმო-ეკონომიკური ურთიერთობები გააჩნდა ქვეყნის 50-მდე რაიონის მეცხოველეობის კომპლექსებთან და ფერმებთან, მ.შ. სავარჯჯოს მეცხოველეობის კომპლექსთან, რომელიც იმ პერიოდში ამერკაკაკისიაში დარგის უმსხვილესი ობიექტი იყო. ბატონი ლალო, როგორც მშობლიური კუთხის გულშემატკივარი და ქვეყნის პატრიოტი, ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული რაიონში არსებული სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოგვარებაში. 90-იან წლების დასაწყისში, როცა აფხაზეთში კომფლიქტი უკიდურესად გარღმავდა, მოსახლეობისათვის ჩატანილი იქნა დიდი რაოდენობით ფქვილი, ღორის ხორცი, კომბინირებული საკვები და თანამშრომლების მიერ შეგროვილი ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები. ასევე დახმარება გაეწია, აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, მათი ახალკალაქში ჩასახლებისას. ასეთი მაგალითები ბევრია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ბატონი ლალო თავისი საქმის უბადლო მცოდნე იყო, რაც კლინდებოდა არამარტო მის ორგანიზატორულ ნიჭში, არამედ ეკონომიკური, ტექნიკური და ტექნოლოგიური საკითხების დრმა ცოდნაში. მის მიერ, სახელდახელოდ შენახულ პირად არქივში ბევრ საინტერესო დოკუმენტურ და ფოტომასალას შეხვდებით, რომელიც ნათლად ასახავს წისქვილკომბინატის ზეობის ხანას და თვით ბატონი ლალოს წარმატებულ და შრომა-გარჯაში გატარებულ პირად ცხოვრებას. დიპლომების, სიგელების მედელების და სამადლობელი წერ-

ილების გვერდით აქ ნახავთ სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედეებს, შესაბამისი დიპლომებით, რომელთაგან ერთი გაცემულია სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და მეორე, გამოგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეში მაღალი წარმატებისათვის. მასთან შენახული ფოტოარქივი ნათელ წარმოადგენს აძლევს დამოუკიდებელს, თუ რას წარმოადგენდა ეს საწარმო მისი ოცდაათწლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში. თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით დაკომპლექტებული საამქროები და მასთან მაღალ სანიტარულ და უსაფრთხო პირობებში მომსახურე პერსონალი, სასადილო, კლუბი, ბიბლიოთეკა, სასტუმრო ოთახები და ა.შ. სამწუხაროდ, დღეს, ამ მსხვილი და წარმატებული საწარმოდან მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი და არაა გასაკვირი, რომ ეს მდგომარეობა ბატონი ლალოსთვის ყოველდღიურ განცდად იქცა. ბატონი ლალო საწარმოს წარმატებებზე საუბრისას, მუდამ კეთილად აღნიშნავს მასში მომუშავე პერსონალის დამსახურებას, მათთან ნლობასა და პატივისცემაზე მიღწეულ ურთი-

სასოფლო პროდუქტებით და შესაბამისი კერძებით. მართლაც, რომ შეხედოთ ამ ადამიანის ყოველდღიურ დღის რეჟიმს გაგიკვირდებოთ, უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ ნახავთ, მოწესრიგებული სახლი და ეზო - მიდამო. ბარაქიანი ბოსტანი, ხილეული და ციტრუსოვანი კულტურები, მის მიერ დაყენებული ღვინოები და გამოხდილი არაყი, რომლებსაც არც თუ იშვიათად აჭაწნიკებს, და ა.შ. თავისუფალ და დასვენების დროს წიგნებს და ყურნალ გაზეთებს უთმობს. მიუხედავად ასაკისა, ადგილობრივ საზოგადოებასთანაც ახლოსაა, არის მხარის გუბერნატორთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს აქტიური წევრი, სადაც მისი მოსაზრებები მუდამ იმსახურებს ყურადღებას.

ბატონ ლალოს საკუთარი მანქანით ხშირად შეხვდებით ქალაქში, რომელსაც დღემდე მაღალ პროფესიონალურად ატარებს. მის მეგობრებს განსაკუთრებულ სიამოვნებს ლალოსთან ერთად სუფრასთან ყოფნა, სადაც იგი გვევლინება ქართული ხალხური სიმღერების (განსაკუთრებით გურული) უბადლო შემსრულებლად. დღესაც აღიარებულია, მისი მაღალი ტონალობის პირველი ხმა, რომელიც ნებისმიერ პროფესიონალთა ანსაბლს შეეწ-



მარჯვნიდან მარცხნივ: ლალო ხავთასი, ჯემალ ჭკაუასაშვილი, გურამ ბურჭულაძე, ვასილ ჩიხორიძე, რენო შრუშაბაძე.

ერთობას. სამი ათეული წლის განმავლობაში, საწარმოში ათასზე მეტ ადამიანთან უთანამშრომლია, რომელთაგან ბევრი დღეს აღარაა ცოცხალი და კეთილად იხსენიებს მათ, ხოლო ცოცხლებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას უსურვებს. მაღალი პასუხისმგებლობით, ერთგულებით და დიდი სიყვარულით ხასიათდება ბატონი ლალოს ცხოვრება საწარმოს გარეთაც, ოჯახში და სამეგობრო წრეში. მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრებისათვის ნაკლები დრო რჩებოდა, ის ყოველთვის ახერხებდა აქაც მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო. მიუხედავად ასაკისა, დღემდე არ არღვევს ტრადიციას, მეგობრებს თავის ოჯახში შეხვდეს და სუფრასთან მოესიყვარულოს. თანაც იამაყოს, მაგიდაზე წარმოღვნილი მის მიერ მოყვანილი

ყობოდა. 90 წელი ნამდვილად არაა ცოტა, ბატონი ლალოს განვლილი გზაც ბუნებრივად მოიცავს ბევრ აღმართ-დაღმართიან მონაკვეთებს, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, საკუთრივ ცხოვრებაა ასეთი და ყოველმა ადამიანმა უნდა ეცადოს, უფლის მიერ ბოძებული სიცოცხლე სიკეთით დაიხარჯოს ოჯახისა და მამულის სიყვარულში. ვულოცავთ ბატონ ლალოს დაბადებიდან 90 წლისთავს და ვუსურვებთ შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად ბევრ საიუბილეო თარიღს შეხვედროდეს ჯანმრთელობით და კარგი განწყობით.

თანამშრომლებისა და მეგობრების სახელით ზაურ დოლიძე, ზურაბ ანდლუაძე

მთავარი როლის შემსრულებლის აჩრდილი სცენაზე და აბსურდის თეატრის მონაწილე პერსონაჟები



ლირიკული გადახვევა: ასე მგონია პაემანზე ვარ მოწვეული, პარტერში შემავალმა ახალგაზრდა ქალმა ვერ დამალა თავისი განწყობა.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში განწყობა მართლაც მაღალმშვენიერია და საზეიმო. აქ თეატრის თანამშრომლები, მსახიობები და მაყურებელი ისე ეგებებიან ერთმანეთს, ნათლად და სასანახი, როგორ მონატრებიან მსახიობებს მაყურებელი და მაყურებელს თეატრი.

პრემიერა სპექტაკლისა „მთავარი როლი“; სცენარის ავტორი თამარ ბართაია; რეჟისორი დიმიტრი ლეთისიაშვილი; მხატვარი ლომუღ

მურუსიძე, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი; მუსიკალური გამფორმებელი ზაზა გაგლოშვილი; რეჟისორის ასისტენტი ირაკლი ვადაკორია; ტექნიკური რეჟისორი მაკა მამულიაშვილი; მსახიობები: მამია-კობა ახალაძე; ბუბუსია – თამარ მდინარაძე; ნუკა – ციცი ბუცხრიკიძე; მაკო – ანი გოდერძიშვილი; რეზო – დავით კვერციანი.

შემოქმედებითა კოლექტივმა სპექტაკლის მთავარი თემა სრული ემოციური დატვირთვით მოიტანა მაყურებელამდე. ეს ცხოვრება ხშირად ემსგავსება აბსურდის თეატრს, როცა ადამიანები თავიანთი ნებით, ან

უმოქმედობით, ან კიდევ უაზრო აზირებითა და გულგრილობით, ხდება მთავარი პერსონაჟები ქაოსისა. უფრო სწორად, თავად ქმნიან ამ გაურკვევლობებს.

ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რეჟისორი მამია, ცდილობს თავისებურად დააღაგოს მოვლენები, გაამლიეროს თავისი გავლენები. რეჟისორი, რომელიც თავად ქვეულა მთავარი როლისთვის განკუთვნილი უჩინარი პერსონის აჩრდილად. – „ბედისწერას ვერ გაქცევი, ვერც სიკვდილს დამალავი და ვერც სიყვარულს... მე დავდგამ აბსურდის თეატრს, სადაც მთავარი როლი არასოდეს არ იქნება. ეს არის ჩემი შურისძიება.“ ის შეეცადა მოქმედება ანტიკურ ხანაში გადაეტანა, ოდიპოსისა და იოკასტას სახეები გაცოცხლებინა. ვერ შესძლო შედეგია იმ სამყაროში. საიდანაც მოყოლებული დღემდე, ცხოვრება ხან ფერადოვანია, ხანაც შავ-თეთრი და ხშირად ბურუსში გახვეული. ყოველივე ეს, სადა სასცენო დეკორაციებით და განათებით კარგადაა გამოცემული. ერთმანეთს ენაცვლება ბელინის და ხანატურიანის მუსიკალური კომპოზიციები. მოქმედი პირობები საკუთარ ემოციებში ჩაფლულან. მთავარი როლის პერსონაჟის აჩრდილიც იქვეა. თავისი შეფარული დაუნდობლობით. მსახიობებმა კარგად განასახიერეს ცნობისმოყვარე, ამბი-

ციური, უნიჭო სახეები, რომელთაგან ყველა ცდილობს მთავარი როლის შესრულებას, რამდენად შესძლებენ ამას, არავინ ფიქრობს. ყველა ბილეთი გაყიდულია, ესაა მათთვის მთავარი და ყოველივე ამისა, მაინც, არის სურვილი რეალობასთან დაბრუნებისა, ოღონდ ისეთ რეალობასთან, სადაც ყოველ ადამიანს ექნება თავისი მთავარი როლი, რადგან ტერმინი – ეპიზოდური როლი, სპექტაკლში არსებობს მხოლოდ, რეალურ ცხოვრებაში კი ყველა როლი მთავარია. ოღონდ, ვინ, როგორ მიირგებს ამ როლს, ამ

როლით ითამაშებს, თუ ამ როლში იცხოვრებს თავად, ესა უმთავრესი, თუნდაც ანტიკური ხანიდან მოყოლებული, დღემდე.

რეჟისორი დიმიტრი ლეთისიაშვილი: – მთავარია, როგორ მიიღებს მაყურებელი სპექტაკლს. ოზურგეთის თეატრს აქვს კარგი შემოქმედებითი პოტენციალი, გარემოც შეხანიშნავია და იმედი მაქვს კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდება აქ, რამაც უდიდესია სამხატვრო ხელმძღვანელის ვასილ ჩიგოვიძის დამსახურება.

ინო ნიკოლაიშვილი



„მშობლიური გენია, წარსულიდან მოსული...“



საქართველოში შექმნილი ეპიდემიის დროს, როცა სასწავლო პროცესი, ფაქტობრივად, დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა, შესაძლებელი გახდა მოსწავლისათვის მრავალფეროვანი აკადემიური ინფორმაციის მიწოდება, საგანმანათლებლო სიახლეებზე სწრაფი, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ სოციალურმა ურთიერთობებმა განიცადა დისტანცირება. მოსწავლეებმა ვერ შეძლეს კლუბებსა და საგნობრივ წრეებში აქტიურად ჩაბმა.

ს. შრომის საჯარო სკოლის ლიტერატურულმა სალონმა „ივერიამ“ ამ მხრივ წინ გადადგა გაბედული ნაბიჯი. მართალია, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის- 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება დისტანციისა და რეგულაციების დაცვით ჩატარდა, მაგრამ სალონის წევრებმა

ჩვეული ემოციითა და ცრემლით შესძლეს მოეტანათ მცირერიცხოვანი მსმენელის გულამდე სათქმელი.

„მშობლიური გენია, წარსულიდან მოსული...“ ასე დაასათურეს „ივერიელებმა“ ლიტერატურულ-შემეცნებითი ღონისძიება, სადაც ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით VII კლასის მოსწავლეებმა ანანო ჯაბუამ და ლუკა ხომერიკმა, როგორც წამყვანებმა, წარმოაჩინეს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ღირსსახოვარი მოვლენა-დამოუკიდებლობის აქტის მიღება და ის მნიშვნელოვანი პროცესები, რომლებმაც ხელი შეუწვევს ქვეყნის სუვერენიტეტს და, რაც მთავარია, ქართველი ერის ნებას.

მოსწავლეებმა გაიხსენეს ის მამულიშვილები, ვინც დაუცხრომლად იღვწოდნენ ნანინანატი თავისუფლების მოსაპოვებლად. სიამაყით

აღნიშნა ის, რომ მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი მათი თანასოფელელი, მიქელ-გაბრიელელი იყო. ნოე ხომერიკის ნათესავები დღესაც ცხოვრობენ სოფელ შრომაში.

ლექსები მხატვრულად წაიკითხეს ლუკა ხომერიკმა (VII კლასი), ანი ზედელიძემ (VIII კლასი), ლევან ბოლქვაძემ (VIII კლასი), ქეთი მოსახლეშვილმა (VIII კლასი), გიორგი აკოფიანმა (VIII კლასი), ანანო ჩხიტინიძემ (VII კლასი), ათო ჩხიტინიძემ (VII კლასი), დავით ზედელიძემ (IV კლასი), ანა ფუტკარაძემ (X კლასი)

ღონისძიების ყველაზე პატარა მონაწილემ მარიამ ბოლქვაძემ (I კლასი) ემოციურად წაიკითხა პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსი.



ოზურგეთის „შეპარდენი“ მესამე აღბილზე

ქ. ბათუმში გაიმართა საქართველოს პირველობა ქვიშის ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის, რომელშიც ოზურგეთის „შეპარდენი“ მონაწილეობდა (მწვრთნელი ზარიტონ ჩხატარაშვილი).

ოზურგეთელებმა 4 შეხვედრიდან სამი მოიგეს და საპატიო მესამე ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონი კი ბათუმის „დინამო“ გახდა.

გუნდის მხარდამჭერია ოზურგ-



ეთის მუნიციპალიტეტის მერია: სპონსორია „ჩემი მარკეტი“.

შეპარდენი სატვა კომპიუტერით



აღბილზე შიგნით შიგნით უმაღლესი სარისხის ბაბროს, პრანსოპოლის (უპრანინა) უმაღლესი სარისხის ბრანდის შვა. აქვე სდგება შვაზე სატვა კომპიუტერით.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №31; მობ. 551 17 90 43

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი- +12+26 31 მაისი ორშაბათი	მზე, ღრუბელი- +11+20 1 ივნისი სამშაბათი	წვიმა +11+18 2 ივნისი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი- +11+17 3 ივნისი ხუთშაბათი	მზე, ღრუბელი- +10+18 4 ივნისი პარასკევი	მზე, ღრუბელი- +11+19 5 ივნისი შაბათი	მზე, ღრუბელი- +10+18 6 ივნისი კვირა
---	--	------------------------------------	--	--	---	--